საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/238 „21" დეკემბერი 2020 წ.

# განკარგულება

**„ზოგიერთი მოსამართლისათვის საცხოვრებელი ბინის დაქირავებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 13 მარტის №1/26 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ია ბარამიძემ 2020 წლის 14 დეკემბერს წერილით აცნობა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, რომ სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელების ადგილზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, არ აქვს საცხოვრებელი ბინა. აღნიშნულის გათვალისწინებით:

1. „ზოგიერთი მოსამართლისათვის საცხოვრებელი ბინის დაქირავებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 13 მარტის №1/26 განკარგულების პირველი მუხლის მ-9 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ბ" ქვეპუნქტი:

„ბ) ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ია ბარამიძეს.".

2. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი